ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7031542

ნომერი: AR11035041

თარიღი : 15.05.2024

გაცემის თარიღი : 20.05.2024

გაცნობის თარიღი : 22.05.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი ჩოლოყაშვილის ქუჩა (ყოფილი 5 დეკემბრის ქუჩა) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ ლორთქიფანიძე პ/ნ 01008053818
- ვანის 5

ორგანიზაცია:

- შპს ელმონტაჟი კოდი: 405455626

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს

სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) "დოსააფი"-ს შენობის მიმდებარედ, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ელექტრო ქვესადგურის (სატრანსფორმატორო ჯიხურის) შენობის განთავსების და მისი შემოღობვის მიზნით, (ცხაურის ,ნატოს ტიპის)ლითონბადის ღობის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (საკადასტრო კოდი N 01.17.14.003.002 სიტუაციური გენ-გეგმა, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) "დოსააფი"-ს შენობის მიმდებარედ, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ელექტრო ქვესადგურის (სატრანსფორმატორო ჯიხურის) შენობის განთავსების და მისი შემოღობვის მიზნით, (ცხაურის ,ნატოს ტიპის)ლითონბადის ღობის მოწყობას.

გაითვალიდსწინეთ:

–ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საპროექტო ობიექტის მშენებლობს საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან;

- მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.